ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-15. 15230446**

თარიღი:**13/02/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩა №231-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 თებერვლის N794/02 წერილის საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩა №231-ის მიმდებარედ 620,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.35.23.982).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონების - ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩა №231-ის მიმდებარედ 620,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.35.23.982) შპს „მარეთი 2022 (1)“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, რომ შესაბამისი გარიგების (ხელშეკრულების) გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში შპს „მარეთი 2022 (1)“ მის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებას - ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 161,0 კვ.მ. და 50,0 კვ.მ მიწის ნაკვეთებს (ს.კ. 05.25.09.039 და ს.კ. 05.25.09.040) უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას შემდგომში, მისი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, მათზე სკვერის და სპორტული მოედნის (ღია ტიპის სპორტული კომპლექსის) მოწყობისათვის. ასევე, უნდა განხორციელდეს სამონაცვლო უძრავი ქონებების ღირებულებებს შორის სხვაობის - 117 623,0 ლარის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხვა და შპს „მარეთი 2022 (1)“ მიერ N05.35.23.902 საკადასტრო კოდით კერძო საკუთრებაში რეგისრირებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელად N05.35.23.982 საკადასტო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის სერვიტუტის უფლებით დატვირთვა.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე (ს.კ. 05.35.23.982) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება წინამდებარე განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი